

## კვირის მიმოხილვა

27 ოქტომბრისა და 2 ნოემბრის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- ორგანიზაცია "იდენტობის" ხელმძღვანელის ირაკლი ვაჭარაძის ფეისბუქ სტატუსს, რომელშიც საქართველოს პატრიარქი იყო გაკრიტიკებული, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის მხრიდან მის მიმართ სიძულვილის გამოხატვა და ფიზიკური ანგარიშსწორებისკენ მოწოდება მოჰყვა. აღნიშნული ქმედების გამო სამოქალაქო პლატფორმაში "არა ფობიას!" შემაჯავლმა ორგანიზაციებმა მინისტრს

თანამდებობიდან მისი გადაყენების მოთხოვნით მიმართეს (გვ. 1-8);

- სიძულვილის ენა და ძალადობისკენ მოწოდება ტრადიციულად ნაციონალური მოძრაობის მიმართ იყო გამოხატული, მათ შორის 15 ნოემბერს ანექსიის საწინააღმდეგო აქციის ორგანიზებასთან დაკავშირებით;
- თურქოფობიულ განცხადებებს როგორც პოლიტიკოსის (ჯონდი ბალათურია, ბურჯანამე-ერთიანი ოპოზიცია), ასევე სხვა რესპონდენტების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან ჰქონდა ადგილი;

გაგრძელება გვ. 2

## # 32, 27 ოქტომბერი - 2 ნომბერი



## რეაზირება

## 29 ოქტომბერი

სამოქალაქო პლატფორმაში "არა ფობიას!" შემაჯავლი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს დიასპორის საკითხებში

გვსურს, გამოვხეხაუროთ 25 ოქტომბერს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის სანდრო ბრეგაძის მიერ გაზეთ "კვირის პალიტრისათვის" მიცემულ ინტერვიუს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია "იდენტობის" ხელმძღვანელის ირაკლი ვაჭარაძის მიმართ ამკარა სიძულვილის ენას და ფიზიკური ანგარიშსწორებისკენ მოწოდებას შეიცავს.



[www.diaspora.gov.ge](http://www.diaspora.gov.ge)

პოლიტიკური თანამდებობის პირის მხრიდან მისი მოხსენიება "ავადმყოფური აზროვნების ადამიანად", "ერთუჯრედიან არსებად", "მანქურთად", ასევე მოწოდება ფიზიკური ანგარიშსწორებისკენ ("გამოჩნდება ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ემოციურ ფონზე თავად გამოიყენებს ძალას!") და არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის შეზღუდვისკენ, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

გაგრძელება გვ. 8

## შინაარსი

სიძულვილის ენა	2
თურქოფობია	3
რელიგია	3-4
ანტიდასავლური განწყობები	4-6
ჰომოფობია	7
გენდერი	7-8

### კვირის მიმოხილვა

#### დასაწყისი გვ.1

- რელიგიური თემების გაშუქებისას რესპონდენტები ატარებდნენ მოსაზრებას, რომ მუსლიმ მრევლთან დაკავშირებით ბოლო დროს გახშირებული ინციდენტები პროვოცირებული იყო გარე ან შიდა ძალების მიერ;
- ანტიდასავლური განწყობები უკავშირდებოდა როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, ასევე ოჯახური ძალადობის თემას, რაც წარმოდგენილი იყო, როგორც ოჯახურ ფასეულობებთან და ქართულ ტრადიციებთან ბრძოლა;
- გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია როგორც სასულიერო პირების, ასევე მედიის მხრიდან იჩენდა თავს.

### სიკულვილის ენა/კალაღობისკენ მოწოდება

#### KVIRISPALITRA.GE, 25 ოქტომბერი

**სანდრო ბრეზაპე, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე:** "სამწუხაროდ, საქართველოში არსებობენ ასეთი ავადმყოფური აზროვნების ადამიანები [ირაკლი ვაჭარაძე], როგორც ეს ერთუჯრედიანი არსებაა. მათ გულს უხარებთ მართლმადიდებლური, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა... აუცილებლად უნდა დადგეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ამ პიროვნების მიმართ! თუ ასე არ მოხდება, დარწმუნებული ვარ, გამოჩნდება ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ემოციურ ფონზე თავად გამოიყენებს ძალას!

**ჟურნალისტი:** თქვენც რომ პირისპირ შეხვდეთ, ფიზიკურად გაუსწორდებით?

**სანდრო ბრეზაპე:** დიდი იმედი მაქვს რომ მაგ არარაობას არსად შეხვდებით! არ ვიცი, რას ვიზამ, თუმცა მე თმუნის ვალდებულება მაქვს... კანონის ფარგლებში თუ მოეცევა ყველაფერი, მაშინ ასეთი ტიპის მანქურთს მიეხედება, რომელსაც ცხოვრებაში არაფერი გაუკეთებია... ასეთი ტიპის ადამიანების საქმიანობა შეზღუდული უნდა იქნას, რადგან გარკვეულწილად ექსტრემისტები არიან და ხელს არ უწყობენ ქვეყნის განვითარებას".  
<http://bit.ly/1wAVs0j>

#### რუსთავი 2, კურიერი, 29 ოქტომბერი

**სანდრო ბრეზაპე:** „ქართულ ეკლესიას რამდენიც არ უნდა ებრძოლონ ვაჭარაძისნაირმა ძლოკვებმა და ერთუჯრედიანმა ჭიებმა ვერაფერს დააკლებენ.“  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2440183](http://www.myvideo.ge/?video_id=2440183)

#### ოპიჰტივი, ღამის სტუდია, 28 ოქტომბერი

#### ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტა

**ალიანსი:** "უნდა ჩაქოლო იმ 15-ში

[ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებული აქცია "არა ოკუპაციას] ვინც გამოვა იქა!.. აი, ეს არის უბედურება, ეს სატანური ძალა [ნაციონალური მოძრაობა], რომელიც აგერ ჩვენს გვერდით არის, რომელიც იგივე ბიუჯეტიდან იღებს ხელფასს, საქართველოს პარლამენტის წევრები, რომლებიც ციხეში უნდა იყვნენ, დღეს პარლამენტის წევრები არიან..."  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2441502](http://www.myvideo.ge/?video_id=2441502)  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2441478](http://www.myvideo.ge/?video_id=2441478)

#### პირველი, 27 ოქტომბერი


**ალექსანდრე შალაგაპრიძე, თავისუფალი საქართველო:** „ნაციონალურ მოძრაობას“ შეკრების ადგილიდან პანჩურებით გავყრიდი.“  
[http://pia.ge/show\\_news.php?id=26483&lang=geo](http://pia.ge/show_news.php?id=26483&lang=geo)

#### კვირის ქრონიკა, 27 ოქტომბერი -2 ნოემბერი

**სათუნა შორღანია, მომღერალი:** "და უკვე მოვუწოდებ მთელს თბილისს, ვინც ისე ვიქრობს როგორც მე - სადაც დაინახავთ ამ აყროლებულებს - ურტყით, ჩაქოლეთ, აფურთხეთ და არ დაგავიწყდეთ პანჩურები... მე ხვალიდან ასე მოვიქცევი..."

#### ასავალ-ღასავალი, 27 ოქტომბერი-2 ნოემბერი

**ლიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** „მიაფურთხეთ ეშმაკს და მოაჭერთ თავები ბოკერია-თარგამაძის სექტას!..თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ, თუ თქვენ ნაცისტური ხროვის წინააღმდეგ ბრძოლაში გადაწყვეტ შეტევაზე არ გადახვალთ, მაშინ იცოდეთ, რომ თქვენ ესენი დაგამბობენ და საქართველოში დაიწყება ხანგრძლივი სამოქალაქო ომი, უფრო სწორად სისხლისღვრა პატიოსან, მართლმადიდებელ საქართველოსა და ბინძურ სექტას შორის, რომლის შედეგებიც სავალალო იქნება!"



**სანდრო ბრეზაპე, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის**

**მოადგილე:** "სამწუხაროდ, საქართველოში არსებობენ ასეთი ავადმყოფური აზროვნების ადამიანები, როგორც ეს ერთუჯრედიანი არსებაა..."

დარწმუნებული ვარ, გამოჩნდება ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ემოციურ ფონზე თავად გამოიყენებს ძალას!"

## თურქოფობია

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 27 ოქტომბერი

**ჯონდი ბალათურია, ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია:** "თურქეთი არაა საფრთხე? ... სირცხვილად ითვლება მარტო რუსეთის აგენტობა და თურქეთის აგენტობა მანდამაინც დიდ სირცხვილად არ ითვლება?.. ყველა პროვოკაცია, რაც რელიგიურ ნიადაგზე მუსლიმებსა და მართლმადიდებლებს შორის ხდება, არის თურქული სპეცსამსახურების მიერ პროვოცირებული და დაფინანსებული." <http://www.obieqtivi.net/tv.php?id=19102>

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 27 ოქტომბერი

**მერაბ რატიშვილი, მწერალი:** „პრაქტიკულად მთელი სივრცე, დაიკავეს თურქულმა სერიალებმა... ეს არის პირდაპირი მნიშვნელობით ექსპანსია და ჩვენ ხომ გვითხრეს ადრე... თქვენ გინდათ ნატოში შესვლა? აგერ შედით თურქეთში და ნატოში იქნებითო. და გვამზადებენ ეტყობა ამისთვის და ის, რაც ხდება სოფელ მოხეში, ეს გაგრძელებაა იმ პოლიტიკის... როდესაც რამე მსგავსი ინციდენტი ხდება ეს არის ვინმეს დაგეგმილი.“ <http://www.obieqtivi.net/tv.php?id=19101>

GEWORLD.GE, 30 ოქტომბერი

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის, ქ. თბილისის ვეტერანთა კავშირისა და საერთაშორისო საზოგადოება "სტალინის" პრეზიდენტის გაერთიანებული სხდომის მიმართვა პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და პრემიერს:**

„საფრთხეშია აჭარა, სადაც სააკაშვილის ძალისხმევით “დიდი თურქობის” ახალი ერა დაიწყო - დღეს უკვე ბათუმის მოსახლეობის ერთ მესამედს უცხოტომელები შეადგენენ... ხალხისა და ქვეყნის მტრებს არ აქვთ და არც მივცემთ ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის გაყიდვის უფლებას. იგი ქართველთათვის ღვთისგან ბოძებულია და ამას არც ქართველობა და არც ღმერთი არ შეგვიცდობს!“ <http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6265>

## რელიგია

ალია, 31 ოქტომბერი 3 ნომერი

**შოთა აფხაიძე, პოლიტოლოგი:**

„რადიკალური ისლამისტების საქმიანობისთვის ბოლო რადენიმე თვის მანძილზე 700 მილიონი გამოიყო მთელი კავკასიის მიმართულებით... სააკაშვილი მაშინ მასპინძლობდა ყატარის პრინცს, რომელიც ვითომდა ჰუმანიტარულ აქციებს აფინანსებდა პანკისში, სინამდვილეში კი ამ პიროვნებამ ვაჭაბისტების თემები დააფინანსა. მათ შორის, რამდენიმე მეჩეთიც აშენდა. ამის შემდეგ სხვადასხვა ემისრები არაბეთიდან და თურქეთიდან შემოდიოდნენ და ითხოვდნენ უკანონონ მშენებლობებს. ასე აშენდა მინარეთები და მედრესეები, ამათი დიდი ფული იხდებოდა და ბევრი ფულიც თეთრდებოდა.“

ალია, 29 ოქტომბერი

**ლაშა ცაიშვილი, თეოლოგი:**

„საქართველოში უმრავლესობის პოზიცია და ინტერესები იგნორირებულია როგორც სახალხო დამცველის, ასევე სამოქალაქო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან... ასე მოხდა ბარბარეს ეკლესიის დარბევის დროსაც და ასე ხდება, როცა შეურაცხყოფას აყენებენ საქართველოს პატრიარქს და მართლმადიდებლებს... ასევე გაუგებარია, რატომ მოუწოდებს ახალციხის მუფთი სისხლისღვრისკენ მოსახლეობას. ყველაფერ ამას გარკვეული რეაგირება უნდა მოჰყვეს ხელისუფლების მხრიდან.“



**ჯონდი ბალათურია, ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია:**

“ყველა პროვოკაცია, რაც რელიგიურ ნიადაგზე მუსლიმებსა და მართლმადიდებლებს შორის ხდება, არის თურქული სპეცსამსახურების მიერ პროვოცირებული და დაფინანსებული.“

## რელიგია

დასაწყისი გვ.3

**KVIRISPALITRA.GE 27 ოქტომბერი**  
სატიშური: “მონეს მასე”

**მანანა რამკიაშვილი, მოხეს მკვიდრი:** “ეს შენობა მეჩეთად ვერ გადაკეთდება - ადგილობრივი მართლმადიდებლები არ დაუშვებთ... ჩართავენ ხმის გამამლიერებლებს და მთელ სოფელში ისმის მოლას კვილი. მაგათ ნუ ჰგონიათ, რომ ჩვენზე მეტნი არიან, მჯერა, მთელი საქართველოს მართლმადიდებელი მრევლი დაგვიდგება გვერდში.”

**ამალია რამკიაშვილი:** „თუ ჰგონიათ მუსლიმებს, რომ შეგვემინდება, ცდებიან! დავიწყებთ მშვიდობიან აქციებს. მოვუწოდებთ საქართველოში მცხოვრებ მართლმადიდებელ მრევლს, რომ მხარში ამოვიდგნენ და არ მიგვატოვონ. სიტუაცია უკიდურესად დამაბულია. ერთმა ისიც მითხრა, თქვენ დაკარგეთ აფხაზეთი, ცხინვალი და მალე მესხეთსაც დაკარგავთ, რომელიც თურქეთს შეუერთდებაო. ცოცხალი თავით არ ვაპირებთ ერთი გოჯი მიწის დათმობას“.  
<http://bit.ly/1ubJTOI>

საქინფორმი, 31 ოქტომბერი

**შოთა აფსანიძე, ევრაზიის ინსტიტუტი:** „შემთხვევითი არ არის, რომ 2012 წლიდან, როცა სააკაშვილის ხელისუფლება შეიცვალა, მუსლიმურ თემსა და ქრისტიანულ მოსახლეობას შორის დაპირისპირებები გახშირდა. ეს არ არის რეალური დაპირისპირება, არამედ, კარგად ინსპირირებული და დადგმული კონფლიქტია.“

დავაკვირდეთ ნიგვზიანის ინციდენტს, რომელიც ახალი ხელისუფლების მოსვლიდან სულ რაღაც ერთ თვეში, 2012 წლის ნოემბერში, სააკაშვილის გონგო-ორგანიზაციის ”ტოლერანტობის ცენტრის“ ხელმძღვანელის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ხშირი კრიტიკოსის, ბექა მინდიაშვილის წაქეზებით მოხდა...“

ადიგენის რაიონის სოფელ ჭელას მეჩეთის მინარეთთან დაკავშირებული დამაბულობა გამწვავდა. მუსლიმთა დამცველად მოგვევლინა ტარიელ ნაკაიძე, რომელიც გაზულუქებულია ვაჭაბიტების ფულით. იგი დაემუქრა საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომ დაუპირისპირებდა მუსლიმებს და უმართავ პროცესებს მიიღებდნენ.“  
<http://bit.ly/1xr2DgS>

ასავალ-დასავალი, 27 ოქტომბერი - 2 ნომერი

**მურმან ღუმბაძე, პარლამენტარი:** „ხელისუფლების გასაგონად კიდევ ერთსაც ვიტყვი, აზიზიეს მეჩეთი ბათუმში ვერ აშენდება, ეს გამორიცხებულია.“

ასავალ-დასავალი, 27 ოქტომბერი - 2 ნომერი

**დიტო ჩუბინიძე, ყურნალისტი:** „ინციდენტები და ატეხილი ვაი-უშველებელი სოფელ ჭელაში, სოფელ მოხეში, სოფელ ნიგვზიანსა და ქობულეთში, როცა მეჩეთის კარზე ნუგზარ წიკლაურისა თუ ღორის თავი მიაჭედეს, სუყველაფერი იმართება საქართველოს დაუძინებელი მტრის - სააკაშვილისა და დედამისის იმ ბოროტი მეგობრების მიერ, რომლებიც დიდი ალბათობით თურქეთის სპეცსამსახურებთან არიან დაკავშირებულნი.“

## ანტიდასავლური განწყობები

კვირის ქრონიკა,  
27 ოქტომბერი – 3 ნომერი

**თიმურ შაშიაშვილი, ბურჯანაძე-ერთიანი**

**ოპოზიცია:** „ევროკავშირი ახალი საბჭოთა კავშირია... ევროპასა და ამერიკაში იცავენ თავიანთ ნაციონალურ ინტერესებს, მათ ჩვენი ნაციონალური ინტერესები არ აინტერესებთ... დღეს ევროკავშირი რუსეთთან მეზობლი ქვეყნების პოლიტიკური კავშირია... ალბანეთი რომ რომელიმე კავშირის წევრია და იქ გიხარია შესვლა, მართლა სირცხვილია.“

რეზონანსი, 31 ოქტომბერი

**მამა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „საქართველოს 90-იან წლებამდე კრემლი მართავდა, ახლა, როგორც ჩანს, ვაშინგტონი მართავს. ფაქტობრივად, საქართველო არ არის დამოუკიდებელი და ამ დიდი სახელმწიფოების საჯიჯგნად არის ნაქცევი... ეს ის ამერიკაა, რომელიც ცხრა წელი სააკაშვილს ნდობას უცხადებდა და ეს არ უნდა დაგვაიწყდეს. ეს არაა დემოკრატია, ეს დამონების ცივილური ფორმაა...“

## ანტიდასავლური განწყობები

**კვირის ქრონიკა,  
27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი**

**ელიზბარ ჯაფელიძე,  
სახალხო კრება:** "ესენი [ამერიკელები] გაიმეორებენ მაიდანს ზუსტად ისე, როგორც მოხდა უკრაინაში, როცა ზონდერებს გამოჰყავდათ კაბინეტიდან ჩინოვნიკები ასხამდნენ ცივ წყალს, აწამებდნენ, სცემდნენ, როცა სნაიპერები ისხდნენ სახურავზე და ხოცავდნენ უდანაშაულო ადამიანებს. ეს ყველაფერი უკრაინაში „ცეერუ“-მ მოაწყო... სადაც კი ამერიკა შევიდა, ავღანეთსა თუ ვიეტნამში, კუდამოძუებულები გამოვიდნენ, მაგრამ მათი პოლიტიკის პრინციპი არის, შექმნან ერთპოლუსიანი იმპერია, რომლის სათავეშიც იქნება ამერიკის ხელისუფლება... ესენი ვითომ დემოკრატიის ნიღბით მოდიან, სულში ხელს გვიფათურებენ, ჩვენი აზროვნების სტრუქტურის გარდაქმნა უნდათ და უნდათ, რომ ყველა ქართველი ამერიკელი გახდეს. ამას ვერ ეღირსებოდა. ჯერ თავის კახას მოუარონ და მერე ჩვენს ქვეყანაში ჩათესონ „ლგბტ“...

**GEWORLD.GE,  
29 ოქტომბერი**

**ბასილ ახვლედიანი,  
დეკანოზი:** „დღეს ე. წ. განვითარებული ქვეყნები გვთავაზობენ თამაშის ახალ წესებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენს ტრადიციულ ფასეულობებს... ეს არის მართლმადიდებლობა

ს, ქართველების გახრწნისკენ მიმართული გეგმაზომიერი პოლიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპასთან ასოციაციის ხელშეკრულებას ხელს არავინ მოაწერდა... ეს ყველაფერი უპირისპირდება ოჯახურ ურთიერთობებს...

გლობალიზაცია საფუძველშივე ძირს უთხრის ქართულ ტრადიციებს და კულტურას!" <http://geworld.ge/View.php?ArtId=6258>

**GEWORLD.GE,  
30 ოქტომბერი**

**ივა თამაზაშვილი, ავტორი:** “ევროპის მორალი, რომლისკენაც ხელისუფლება მიისწრაფვის, ასეთია: დავისჯებით, თუ ტრადიციული მართლმადიდებლობის დაცვას შევეცდებით და ქრისტეს გზით ვივლით; თუ ვეცდებით, შევინარჩუნოთ ეროვნული ტრადიციები და ქართველობა; თუ არატრადიციული ორიენტაციის მიმართ გამოვხატავთ პროტესტს...

აშშ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენა ბირთვული იარაღი. აშშ მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში მიიჩნევა აგრესორად, რომელიც თავის იდეოლოგიას ახვევს ხალხს თავს...

2007 წელს მომიტინგეთა წინააღმდეგ საქართველოშიც გამოიყენეს აკრძალული ფსიქოტრონიული იარაღი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ “მეგობარი” ამერიკელებისგან მიიღო. წამების მეთოდებიც მათგან გადმოიღეს და გაითავისეს.“ <http://geworld.ge/View.php?ArtId=6264>

**შაქინჯორაძი,  
27 ოქტომბერი**

**არნო სიღირაშვილი,  
საქინჯორის მთავარი**

**რედაქტორი:** „[დასავლეთში] არასრულწლოვნები თითქმის ყოველდღე იჭრებიან სკოლებში და ავტომატებით ცხრილავენ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, მშობლები - პედოფილები კი აუპატიურებენ და კლავენ თავის შვილებს...

ეს ყველაფერი უკვე დიდი ხანია რუტინად იქცა ზნეობადაკარგულ დასავლურ ლიბერალურ საზოგადოებაში, რომელიც ხელისუფლებაში ჰომოსექსუალისტებს ან უბრალოდ გარყვნილებს ირჩევს, მეუღლეებს დემონსტრაციულად რომ ღალატობენ, ან და ერთსექსიან „ოჯახებად“ ცხოვრობენ მიუხედავად ყველაზე მაღალი პოლიტიკური თანამდებობებისა სახელმწიფოში!.. აი რატომაა, რომ ახალი ევროქართველები - ლიბერტარიანელები იცავენ დღეს ჭეშმარიტი ქართველებისათვის ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ცოდვას - ღალატსა და გამცემლობას ყველაზე ახლობელ ადამიანებს - მეუღლეებს შორის! ...“ <http://bit.ly/1tSsO8N>

**ასაპალ-დასაპალი, 27  
ოქტომბერი-2 ნოემბერი**

**ლავით ისაკაძე,  
დეკანოზი:** "დიდი ფულია გამოყოფილი, რაც ოჯახის ინსტიტუტის ნგრევას ხმარდება, რათა ბნელ ძალებს მსოფლიოს მართვა გაუადვილდეთ!"

**გაგრძელება გვ. 6**

## ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 5

### ოზიმატივი, ღამის სტუდია, 2 ნომერი

**ტილმაყურებელი:** „მე მაინც მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ საბოლოოდ დაგვლუპავს ეს ევროპა და ნატო. ჩვენ სხვანაირი ტრადიციების ქვეყანა ვართ, სხვანაირი ტრადიციების ხალხი ვართ... ქართველი კაცი ვერასდროს ვერ აიტანს იმას, რომ როგორც საზღვარგარეთ ხდება, ცოლი რომ გიწევს ლოგინში და ღამე რომ წავა და სხვასთან რომ იგორებს, ლოგინში მეორე დღეს იმას ვერც შეეგუება.“

<http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=19184>

### ოზიმატივი, ღამის სტუდია, 2 ნომერი

**ტილმაყურებელი:** „ქალთა დისკრიმინაცია წამოიჭრა იმისთვის, რომ ეს ოჯახის ინსტიტუტი გაუქმდეს. ესაა წინაპირობა და ამის შემდეგ უკვე გეების ქორწინების კანონი დაკანონდეს...“

აი, კერძო კომპანიებს რაში სჭირდებათ ეს მოსმენები? მაგრამ კერძო კომპანიების ხელში კი არ იქნება, ეს უკვე ამერიკის ხელში იქნება... ხომ ვიცით, რომ ამერიკა მთელ მსოფლიოს უსმენს.“

<http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=19185>

### ღამის სტუდია, 28 ნომერი

**ყოფილი სპეცრაზმი:** “მოგეხსენებათ, მაშინ წინა ხელისუფლება ახალი მოსული იყო. ყველაფერში სოროსის ფული იხარჯებოდა. ესეც სოროსის შეკვეთა გახლდათ. ამერიკას დაანახვეს, რომ იედოველების მდევნელი მამაო სასტიკად დაისაჯა [ბასილ მკალავიშვილის დაკავების შესახებ].“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=43022>

### GEWORLD.GE, 29 ნომერი

**იური მიხიტოვი, ფოტოგრაფი:** „იმ ქვეყანაში [უკრაინა] არის სამოქალაქო ომი და ვის უჭერს ჩვენი ხელისუფლება მხარს? უკრაინის გაიძვერა მთავრობას, რომელსაც ოკეანის გაღმადან მართავენ?..“

რუსეთი რომ კარგი ლუკმაა, ზეჟინსკით დაწყებული, კისინჯერით დამთავრებული, არავის დაუმალავს. ამიტომაც ებრძვის ამერიკა რუსეთს ხან საქართველოს, ხანაც უკრაინის ტერიტორიაზე.“

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6256&lang=ge>

### კვირის ქრონიკა, 27 ნომერი – 2 ნომერი

**ლევან ჯავახიშვილი, ჟურნალისტი:** „ეს ის ევროკავშირია, თავით რომ ვეკვებებით, შიგნით მაინც არ გვიშვებენ და ლამის ქვეყანა გადავყალოეთ ამ „ევრომისწრაფებს“... გვესაქმება კი რამე იმ ორგანიზაციაში, რომელიც ქართველი ხალხის ნებას ასე აბუჩად იგდებს და მას ანგარიშს საერთოდ არ უწევს?.. ევროპელებისთვის სწორედ „სხვები“ ვართ და საერთოდ არ აინტერესებთ, რა უბედურებები დამართეს ქართველ ხალხსა და ამ ქვეყანას დავით კეზერაშვილმა და დათა ახალაიამ.“

### კვირის ქრონიკა, 27 ნომერი – 2 ნომერი

#### გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:

„სამპროცენტური რესპუბლიკელი ბანკროტებისა და ცხრა გრანტს გადამხტარი „ენჯელების“ წყალობით საქართველოში ლიბერალტიზმის აპოგეა პიკს აღწევს. დასავლური ფასეულობების სახელით უსუფაშვილის პარლამენტი იმხელა ანტიქართულ საქმეს აკეთებს, თავის დროზე შაჰ-აბასსა და ალა მაჰმად-ხანს რომ არ დაესიზმრებოდათ...“

27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საქართველომ თავი პასუხისმგებლობათა უმძიმეს უღელში გაყო... დიახ, საკითხავია, მომავალში კიდევ რა ანტიქართულ საკანონმდებლო ცვლილებას მიიღებენ პარლამენტი დაბანაკებული მედასავლეთეები.“

## ჰომოფობია

### ალია, 31 ოქტომბერი - 3 ნომერი

**გელა ზემელაშვილი, ჟურნალისტი:** „ელგებეტების „უფლებების დამცველს, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ლიდერს, ირაკლი ვაჭარაძეს ერთხელ უკვე გაუვიდა. მან მსოფლიოში ცნობილ სოპრანოს თამარ ივერს საქმე ისე გაუხადა, ავსტრალიის ოპერის თეატრმა სამსახურიდან დაითხოვა...

თამარ ივერის შემდეგ ვაჭარაძისა და არასამთავრობოების სამიზნე სანდრო ბრეგამეა, რომელიც არც ოპერის მომღერალი გახლავთ და არც ბალეტის მოცეკვავე, რომ „პედარასტებს“ კონცერტი ჩაუტაროს. თუმცა საინტერესოა, რას იზამს? როგორ დააღწევს თავს მეტად „ფაქიზი“ ადამიანების თავდასხმას?“

### ასავალ-დასავალი, 27 ოქტომბერი - 2 ნომერი

**გიორგი გიბაური, ჟურნალისტი:** "იქ სადაც მავანი, ყველაფრის მიუხედავად, ხმამაღლა იძახის, მე ნაცი ვარო, ვიღაცას გაცილებით უადვილდება აღიაროს სექსუალური გაუკუღმართება!"

## ბენდერი

### GEWORLD.GE, 29 ოქტომბერი

**ბასილ ასვლელიანი, დეკანოზი:** „დიახ, ორივე მათგანის ღალატი სასიკვდილო ცოდვაა, მაგრამ ერთი მცირე ნიუანსია - მამაკაცის მხრიდან ღალატი არ შეიძლება ოჯახის დანგრევის მიზეზად იქცეს...

თუ მამაკაცი გაუშვებს ცოლს და ის იმრუშებს, მის ცოდვაზე პასუხი უკვე მამაკაცსაც მოეთხოვება...

ამ მიზნით შეიქმნა ხვადასხვა გენდერული მოძრაობა, ეს მოდის ბოროტისგან, რათა დაირღვეს ბალანსი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე. ქალი გაუთანასწორდა მამაკაცს არა ღვთის წინაშე, არამედ ფუნქციურად, რაც არღვევს ჰარმონიას ადამიანებში.“

<http://geworld.ge/View.php?ArtId=6258>

### კვირის ქრონიკა, 27 ოქტომბერი – 2 ნომერი

**გელა ზემელაშვილი, ჟურნალისტი:** „ეეჰ, ჩემო შოთა, ეგრე თუ გავყევით, არიან ქალები - დუდუკები, არიან ქალები - „დვიჟოკები“, არიან ქალები - დანა-ჩანგლები, არიან ქალები - დოლები...

როცა ქვეყანაში ფსიქოლოგიური პრობლემებია, როცა ყოველი ფეხის ნაბიჯზე გენდერულ თანასწორობაზე ლაპარაკობენ და ბოზობასაც მიეცა ფართო გასაქანი...

აჰა, აგაწყდათ დილები, კაცებო? რომ არა ქალი, ვინ დაგიკერებთ შარვლებზე აწყვეტილ დილებს? ვინ

არის ახლა სუსტი? კარგი, შეიძლება დილების დაკერება მოახერხოთ, ვინ დაგიუთოებთ ტანისამოსს და ვინ გაგირეცხავთ ტუტყიან „ნასკებს“? კი, ბატონო, მოკალი ქალი, მოკალი ცოლი, მერე სად მიდიხარ?“

### კვირის ქრონიკა, 27 ოქტომბერი – 2 ნომერი

**გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:** „ანტიდისკრიმინაციული კანონი ხომ კარგა ხნის წინ დაამტკიცეს, ახლა ცნობიერებაში ოჯახური ძალადობის ცნება შემოაქვთ და მოქალაქეებს პირდაპირ ტვინს ურევენ.... ქართველი ქალი კი, რომელიც ტრადიციულად სიწმინდისა და ოჯახის ღირსების სიმბოლოა, ზნეობრივი, მორალური მარწუხებისგან უნდა გათავისუფლდეს.“

### საქინფორმი, 31 ოქტომბერი

**არნო სიდირაბიშვილი:** „ბრძოლა გენდერული თანასწორობისთვის თუ მთავრობის, ოჯახის ინსტიტუტისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ? სააკაშვილმა და მარგველაშვილმა ღარიბაშვილისა და ივანიშვილის წინააღმდეგ პიარ - კამპანია შეუკვეთეს!“

<http://bit.ly/1zqLxTj>

გაგრძელება გვ. 8

## გენდერი

დასაწყისი გვ. 7

### რეზონანსი, 31 ოქტომბერი

**მარი ჩიტაია, ჟურნალისტი:** " მძლოლებად სუსტი სქესის წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ და ასაკიც გაახალგაზრდავდა."

### ასავალ-დასავალი, 27 ოქტომბერი - 2 ნოემბერი

**ღამით ისაკაძე, დეკანოზი:** "უფალი საოჯახო

საქმეებს მამაკაცსა და ქალს შორის ჰარმონიულად ანაწილებს, მაგრამ საბოლოო ჯამში გადაწყვეტილების მიღებაში უპირატესობას მამაკაცს ანიჭებს...

არასამთავრობოების ბოროტი მიზნები მარტო ქალების მამაკაცებთან დაპირისპირებით არ ამოიწურება, რადგან მათი მიზანი ოჯახის ინსტიტუტის მოშლაა, ცდილობენ ოჯახში მაქსიმალურად შეიტანონ უთანხმოება და დამატებით - შვილები დაუპირისპირონ მშობლებს."

## რეკაპიტაცია

## 29 ოქტომბერი

დასაწყისი გვ.1.

მიგვაჩნია, რომ საჯარო მოხელის, მით უმეტეს, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის ამგვარი განცხადებები სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, ახალისებს რა განსხვავებული აზრის მიუღებლობას, ფიზიკურ ანგარიშსწორებას და ემსახურება არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის დისკრედიტაციას.

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულება და ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. დემოკრატიული სახელმწიფო არ არსებობს ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის გარეშე. სახელმწიფო თანამდებობის პირს, როგორც საჯარო პოლიტიკის მწარმოებელს, ეკისრება მაღალი პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს ამ უფლების განუხრელი დაცვა. ხელისუფლების ვალდებულებაა, დაიცვას მოქალაქეების გამოხატვის თავისუფლება, მაშინაც კი, როდესაც გამოთქმული აზრი საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელია. ამისთვის, პირველ რიგში, თავად თანამდებობის პირებმა უნდა შეიკავონ თავი საჯაროდ სიძულვილისა და შეუწყნარებლობის გამოხატვისგან.

მით უმეტეს დაუშვებელია, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელი თავად არღვევს ადამიანის

ფუნდამენტურ უფლებას, აყენებს მას შეურაცხყოფას განსხვავებული აზრის გამო და მეტიც, მოუწოდებს მისი საქმიანობის შეზღუდვისკენ და მასზე ძალადობისკენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სანდრო ბრეგაძის შეხედულებები სრულიად შეუფერებელია საჯარო მოხელისთვის. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ მან უნდა დატოვოს მინისტრის მოადგილის თანამდებობა.

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

მედიის განვითარების ფონდი (MDF)

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)

ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საზოგადოება (ISFED)

იდენტობა

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

კავშირი "საფარი"

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო (TI)

არასამთავრობო ორგანიზაცია "თარგმანის განვითარების ცენტრი"

ტარიელ ნაკაიძე, ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე